ეროვნული ბიბლიოთეკა
№23

ქალაქ თბილისის მერია

ლაფაური სოლომონ მიცკევიჩის ქ. 11 ,
ბ-8

ქალაქ თბილისის მერი

ქალბატონ / ბატონ

სოლომონ ლაფაური

პატივცემულო სოლომონ

დიდ მადლობას მოგახსენებთ დაუღალავი შრომისთვის, რაც წლების მანძილზე გაწიეთ და მოთმინებისთვის, რაც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნისგან გხვდათ წილად – მიზერული პენსია, არადა ბევრად მეტს იმსახურებთ.

ჩემი მიზანია თქვენი ღვაწლის სათანადოდ დაფასება. მსურს, მცირედით მდგომარეობა გამოვასწორო და მოგახსენოთ, რომ 2006 წლის სექტემბრიდან მინიმალური პენსია მთელ საქართველოში 38 ლარი იქნება. თბილისის მერიის ძალისხმევით კი, თბილისელები პენსიას ნამსახურები წლების მიხედვით მიიღებთ.

თქვენი 35 წლის მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით, პენსიაზე 10 ლარი დაგემატებათ, ანუ 1 სექტემბრიდან 48 ლარს მიიღებთ.

მერწმუნეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია თაობათა შორის სოლიდარობა და მაქსიმუმს გავაკეთებ, რათა შეგიქმნათ თქვენთვის შესაფერისი სოციალური გარემო.

ჯანმრთელობას, სიკეთესა და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მერი

გიგი უგულავა

ქ. თბილისი 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: (+995 32) 989994, ფაქსი: (+995 32) 933596